პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

ტარტაროზი

№ 67

კვირა, 26 სექტემბერი, 1926 წ.

მთლიანი მუშათა კოოპერატივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 11

გახედეთ მინდვრებს...
გახედეთ ველებს
ქლექიანსავით
როგორ ახველებს!

თითქოს ამბობსო
ქვნესით მიდამო:
სევდა იქნება
აწი მუდამო.

ზაფხული უკან
გაზაფხხული გაჰყვა...
(ვეიან ვეეიროსოს
აწ მისი ნახვა).

აღარ ბიბინებს
ბაღნარი მწვანე..
სული თხოულობს!
„შორს წამიყვანე“.

ხმება ფოთლები..
ყვითლდება ნელა
(უწინ სარკმელი
რომ დაბნელა)...

ნიავმა თუ კი
მათ გაუქროლა,—
მოცვივა ქვემოდ,
არ ძალუძს ბრძოლა.

ჩონჩხს ემზავსება
ყველა მცენარე..
...და როგორ ვიყოთ
ჩვენ პირმცინარე?!!

გადახრილა
არე მახლობი
და ხროიკ კლდეს ჰგავს
გორა—მაღლობი..

აწ აღარ არის
ექსკურსიები
და ბაღ-მინდვრებში
ვარდი-იები.

აგარაკები
დაცარიელდა..
...ცა მოიღრუბლა
და ჩამობნელდა..

ისე ჰკიდია
ღრუბლები ცაზე,
როგორც მტევნები
ვენახის ვაზზე

ღრუბლიდან გვიჭვრეტს
მზის ცალი თვალი,
ვით მოსახვევში
არშიყი ქალი...

არ გინდა, მაგრამ
შენს უნებურად
სევდა გულს იპყრობს
თავისებურად.

ქრება ხალისი..
გულზე გაქვს ტლოვა,
თითქოს ზაფხული
აწ აღარ მოვა.

ვერ სძლებ დამეკდარი,
არ ძალგიძს დგომა...
ამბობ:—კრულია
ეს შემოდგომა—

...მაგრამ არ არის
საქმე ამ გვარად...
მე შემოდგომას
მიგიმჩნევ არად..

დარდი კი არა,—
უფრო პირიქით...
(დარდი და სევდა
ჩვენგან შორს იქით).

ეს შემოდგომა
ისე გაიელის.—
რომ ოქტომბერი
ჩრდილავდეს ივლის.

მე თქვენ გეოს სევდას
მელანქოლიას
(ფუტურისტულად:
ოხოხოლიას).

არ გავაკარებ,
ვაცინებ მარად
და შემოდგომას
მივამჩნევ არად..

...მაგრამ ამისთვის
უნდა ჰქნათ ესა;—
(არ გამაგონოთ
თქვენ ამოკვნესა);

პირობა ჩვენი
არის ასეთი:
გამოიწერეთ
ჩვენი გაზეთი

და ამას მოჰყვება
ჩვენი ჟურნალი—
ქვეყნად ყოველგვარ
სენის მკურნალი...

...იწყება წელი
საბიუჯეტო;—
გაზეთის ფასი
რომ გაიმეტო

და ჯაადდო
შენ ბიუჯეტი
თოთხმეტ მაურით,—
არ გვინდა მეტი.

26—IX. ტარტაროზი

ტარტაროზის სასახლე.

ბრძანება № 12

დიახ! ბრძანება
ზედიზედ ორი
თანაბარი და
ორივე სწორი.

უკანასკნელი
ეხება კორებს;
(ხელს არ შეუშლის
ერთი მეორეს,—

შემსრულებელი
ყველას ჰყავს თვისი,
(ხუ გებრალებათ),—
შრომის ხალისი).

ჩემო კორებო,
მავნე ვინც იყოს
თქვენ ვევალებათ,—
(თუ გებრალებათ),—

გაბაწრეთ ყველა..
გამოგვიგზავნეთ..
(ჩვენ გაგვახარეთ
და მტერს კი ავნეთ).

რაც შეიძლება
ბევრი მრავალი;
მით მოიხადეთ
თქვენ ჩემი ვალი.

მეც ხომ ვიყავი
შეებულებაში
აგარაკებზე..
სოფლად.. დაბაში...

გავსუქდი მეტად
და გავჯანსაღდი;
გაუმაძღარი
დიდი რამ გავხდი.

(აქვე თავსდება
ჩემი სურათი..

ისე გავსუქდი,—
ვარ ფუთი ათი).

არ მყოფნის კერძი
ჩვეულებრივი.
გამომგზავნეთ
დიდი არშივი,—

თორემ თუ ცოტა
აგზავნეთ ძღვენი,
—დავუძღურდებ
სარდალი თქვენი,—

და ეს იქნება
სირცხვილი დიდი
სირცხვილი თქვენზე
ჩამოსაკიდი.

ალბად ჩემსავით
თქვენც მოიკეთეთ;
მაშ უფრო მძლავრად
ჩვენს მტრებს ეკვეთეთ.

შეებულებებმა
მოგვმატა ჯანი...
(ხომ კი იყავით
ყველა თქვენგანი?)..

მასალაც ბევრი
გექნებათ ალბად..
(თუ არ დასწერეთ,—
ხომ თავში დალბა!?).

მაშ ასე... ძღვენი
ბევრი და ხშირი,
თორემ დაგძვრებათ
ჩემგან თქვენ ცხვირი.

25—IX 26 წ. ტარტაროზი

ტარტაროზის სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარტაროზის დაბრუნება შვებულებიდან

უნივერსიტეტში

სადაც დიდებულს უნივერსიტეტს
ცხრა წლედელები ვერ შეხებიან;
სად ადგილები გამოუცდელად
მუშფაკ-ტეხნიკუმს მხოლოდ შთენია,—
უწინდელ დროში, (ათი დღის წინად).
დაქანდა თქეში, ღვარი და ელვა,—
და თუ არ ძალი ზეციდან წმინდა—
ტაძარს წალეკდა სტიქიის ღელვა.
მუშა გატეხეს, კარი გაიღო,—
(სოლიდარობით ქალი ვაჟს ეკვრა)
ხმა ღრიანცელმა ყური წაიღო...
დახიეს სია კედელს რომ ეკრა.
ვუახლოვდებით გამოცდის ბარათს,
ის არ გვიკარებს და შორს მისცურავს...,
როცა ერთმანეთს ახევენ ხალათს,
დამრიგებელი კარებსა ხურავს.
დაფას ადგება თეთრი ნათელი,
როცა გამოცდა იწყება ციდან:
სკამზე შედგება როგორც სანთელი
მოკლე შარვალით, სულ სამი ციდა...
ბოროტნი ძალნი როს სწყვეტენ ქუხილს,
მაშინ ისვენებს წმინდა ტაძარი.
ნაგავთან ერთათ ჰყრია კუთხეში,
ქუდი, საყელო, წიგნი, ქამარი.

მ. გ.

„პერდი-ფერედი“

1. საქმის კაცი

ამას წინად მე ქუჩაში მნახა „იშან“, მომესალმა. მომიკითხა... მოვიკითხე... „კოისკისკენ“ გავუყევით მუსიაფით, გადავკარით შუმხუნა და გრილი სითხე.

ამოიღო ჯიბით თეთრი ხელსაფენილი და სახეზე მიიკუჩა, მოიკუჩა, სიცხისაგან ასდიოდა რადგან ხვითქი, ხელსაფენილით ცხელი ოფლი მოიწურა.

ტყავის ბოხჩა, გატტენილი ქაღალდებით ილილიაში ამორჩილი ისე ჰქონდა, ვით არშივი ერთხელ ჩვენი სოფლის ხუცესს წაჰყვა ჩვენგან, პაპაჩეში როცა ცხონდა.

მე ის კაცი მეცნობება კაი ხანი: მწერალი და მწიგნ(ბარი არ კ.ოცილა, წერგნისა და ქაღალდის, თუ საწერლისაგან, ვით აბრამი—ლოტისაგან, გაყოფილა.

მაშ, ვიფიქრე: „ახლა ეს რით აიხსნება, წარმატება ესოდენი როგორ მოხდა? მე ჩემს დღეში კალამს ვაწრიპ-ვიხიკინებ და ნაწერით ვერ გავტენე მაინც ბოხჩა!..“

ამ დროს ბუზი წამოვიდა, ვით ისარი, და წყეული იგი შუბლზე ისე მეცა, რომ მეჩვენა: ან მტრის ხელით ნასროლ ტყვიათ, ანუ ტყიდან გამოვარდნილ უშნო მხეცად!..

უნებლიეთ ავსწერ თითი მე, სალოკი, და დაესო ჩემი თითი შუბლზე ისე, ვით საზღვარზე—შეღებილი ქრელი სარი, ახუ ჯაღანში—სახარაზო ხელ-საღგისი!..

და გაფრინდა ბუზი, მარა მეც ფეხ-და-ფეხ მისკენ ფიქრმა, ვით შურდული, გამიტაცა: ისეთია: **ილლიას ქვეშ სავსე ბოხჩა**
და „კოისკის“ წინ შეხვედრა „საქმის კაცთან“!..

2. „კარის კაცი“

ახლა „იგი“ მე დამჭირდა ერთხელ, შემდეგ: ნათლული მყავს სოფლად ერთი, უთვისტომო, სამსახური, მთხოვა, სადმე რომ მეშოვნა. მეც ვსთქვი: მისთვის რათ არ უნდა მოვინდომო?!

ვსთქვი ეს, მაგრამ... ვის მივმართოო, გავიფიქრე: ამას? ამას? ამას? სიკოს პეტრეს?!.

ერთია და—ჯიუტი, ხეპრე ქცევის, მეორე—და არც ის სჯობს დიდათ ხეპრეს!

ბოლოს „იგი“ მომაგონდა, კოისკის წინ ამას წინად რომ შემხედა და გაიხარა, ალერსით და თანაგრძნობით რომ მიკითხა, და სალამთ კრძალვით წინ რომ დაიხარა...

ვსთქვი: აი, ვის უნდა თხოვნა ამ საქმეში ერთი სიტყვითა. ალარ მინდა მეტის რჩევა... გადავსწყვიტე ეს ერთ დღეს და მეორე დღეს განვიზრახე მე იმ „საქმის კაცთან“ წვეევა.

მივადექი კარს და ვაღებ, მაგრამ... ვაი, ვიღაცა სხვა უცქამთ მე წინ ამეყოფდა, ისე, თითქოს ქურდობაზე დმიჭირეს, მომახალა პირში ერთად: „სტო“! „კუდა“?!.

— რისი „კუდა“? „ტრიეს კუდა“...*) რას ჩერჩეტობ?

*) ერთნაირ ულაშებ-აყრილი ბალახის სახელია გურიაში.

მე „ის“ მინდა! გესმის? „იგი“, „საქმის კაცი“! ის ხომ ჩემი ნაცნობია, არ გეგონოს ეორონცოვი, გოლიცინი, გიხდ ვატაცი.

აყლაყუდამ შემხედა და დამიბღვირა: „რა შვაშუაში ვატაცი, ან გალიცინი? ოქვენ ვინ გნებავთ? „პრედი„-ფრედი? არ ღებულობს“!..

— **არ ღებულობს?!. გამიკვირდა... გავიცინე...**

გავიცინე, მაგრამ გულში მწყინობს ძალიერ; როგორ? ხუ-თუ არ მიმიღებს **ეს ბუცა**! მხოლოდ ვწუხვარ იმას, რომ ეს აყლაყუდა აქ ზღუდეთ და მიზეზათ რომ გადამექცა!..

— მოახსენე! შევეხვეწე და ვინ ინენ ჩემი გვარი, სახელი და მამის ხსოვნა... აყლაყუდამც ულოაჯოთ დასწვდა კარს და, ვით სოროში, შემალვაც არ დააყოვნა...

ვდგევარ კართან და ვაყვედრი ჩემს თავს ასე: „რას უცდი აქ და ჯიუტობ, როგორც ვირი?!. შენც დაავლე ხელი კარს ამ სახელურს, გამოსწი და შიგ ოთახში შერგე ცხვირი.

ალარ გახსოვს, „კოისკთან“ რომ მოგგეგება? ახლაც ისე მოგვარდება. როგორც შლეგი!.. შემდეგ:—ტკბილი მუსაიფი, შენი თხოვნა, მისი ტკბილ შეპირება და შედეგი“!..

აქ ეს ფიქრიც, სანატრელი, გაწყდა უცებ, რადგან კარი აჭრიალდა, როგორც ზუონა, და გამოჭყო ჩემს წინ ცხვირი არა „იმან“, არამედ კელავ აყლაყუდა იმ მსახურმა.

— „არ ღებულობს“!.. მომახალა მკვახედ პირში, თითქოს მნახა უკბილო და კაკლებს მახლის... მომდგა გული და ვფიქრობ: „ეს ოინია, ვიღაცაა, ამ ზუზკის, ამ მამაძაღლის“!..

მინდა ყელში ვეკვდე ფრჩხილებით, როგორც მხეცი, და გავგაუდო ამავ ზუთს აქ. ვით ბატკანი, მაგრამ... ჯერ კი გავიფიქრე: „მსუნს გარჩევა: დამნშავე რომელია ამათგანი“?!.

და მოვეშვი აყლაყუდასწინ ლაქუცით, გავუსვი და გამოვუსვი ჩემი კუდი... ვფიქრობ: „თავი რაღათ მინდა მე ცოცხალი, თუ აქ სიმტყუნ-სიმართლეში ვერ დავრწმუნდი“!

— ძმაო! საქმე რა აქვს, ნეტა, ასე ძმიმე? მებრალება! ბიძაშვილი არის ჩემი! მამა მისი გარდიცვალა, მაქვს მე ცნობა, და მეც მხოლოთ ეს ცნობა მაქვს მისაცემი...

„ძმიმე საქმე?! არაფერიც. ამის მსგავსი!.. მასთან ერთი ქალი მოდის ხშირად ასე, თან მოჰყვება ახოვანი ტანადობა, მორთული და მოკაზმული სილამაზე.

და როცა ის უზნის იმას კაბინეტში, მიღება და სხვა ასეთი აქ მყის სწყდება“!..

— მერე და აქ ხშირი არის ეს მოვლენა?

— „ორჯერ თუ არ, დღეში ერთხელ მაინც ხდება“!..

ამ დროს ბუზი კელავ მომვარდა, ის ოხერი, და წყეული იგი შუბლზე ისე მეცა, რომ მეჩვენა მტრის ხელიდან ნასროლ ტყვიად, თუ შავ ტყიდან გამოვარდნილ უშნო მხეცად!

უნებლიეთ ავსწერ თითი მე, სალოკი, და დაესო ჩემი თითი შუბლზე ისე, ვით საზღვარზე—შეღებილი ქრელი სარი და სარს იქით—მტრის რაზმელი, მოხალისე“!..

და გაფრინდა ბუზი, მარა მეც ფეხ-და-ფეხ ფიქრით უკან გამიყოლა. გამიტაცა...

ასეთია: **კაბინეტში—ტურფა ქალი**
და გარეთ კი—მუსაიფი „კარის კაცთან“!..

ცოცხ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორგა

პეტრე: მოსწიე, მაგრად მოქაჩე, ერთგულო, ძმაო ხუხუნი,—
თორემ ამაოდ ჩაგვივლის აყალმაყალი ბუხუნი.
ხუხუ: კისრის ძარღვებსა ვიწყვეტავ, მაგრამ რას მარგებს ქადილი,
არც ერთი სახლი არ იძვრის, იხე მტკიცეა ადგილი.
პეტრე და ხუხუ: ბაწარი გაწყდა, ვაიმე... დახეთ ცოდვებმა გვიწია!
გაიდე: რაც თქვენი საქმე არ არის უფრთხილდით ჩემო ბიძია!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტალა



ლორი (მობანავეს): უკაცრავად, მაგრამ ზრდილობა იქონიეთ: თქვენ სტუმარი ხართ, მე კი მასპინძელი,—და მე ნაბას არ მოგცემთ ჩემს სახლში მე შემავიწროვოთ... იქით გაიწიეთ და ხელს ნუ მიშლით... მეც ვგორაობ ამ ტალასში.



ხრიწს. (ქუთაისი) უნდა იცოდეთ, რომ სარედაქციო მასალა (და მით უფრო „ტარტაროზ"-ს) იწერება ცალ გვერდზე. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ აგიე მასალა ცალ გვერდზე დასწეროთ და ისევ გამოგვიგზავნოთ. ასეთი მასალა რანაირადაც არ უნდა დასწეროთ, მაინც უფასერო გოდორს არ აშორდება.

დევნილსი—ეს. (სუფსა) წაიკითხეთ ჩვენი პასუხი **ხრინწ**-სადმი (თქვენს ზემოდ). ეს ერთი. მეორედ: თუ **ჩხაიძეს**

სოფლის სიკეთე ფეხებზე ჰკიდია,—

თქვენ სადღა გკიდიათ (თუ გაბიათ) თავი?! თუ მას და მის ამხანაგს არ სრცევნიათ, რომ **„კორლანოს ქვების ქურდობა"**, თქვენ რატომ არ გრაცვნიათ ასეთი ცუდი ლექსის დაწერა?! თანაგიგრძნობთ, რომ წინასწარი მადლობა ჩვენდამი ალ ლექსის დაბეჭდისათვის გეზარალათ. თქვენს წერილთან ერთად თქვენი მადლობაც გადავგზავნეთ უფასერო გოდორში.

გ. ზარიძეს, ფოსფორს, კვინტალს, უფროის, ვირთხას და ელვას გოდორში.

სინიოფალას არ ეს არის გასაკვირი, რომ თქვენი ცოლი უთქვენოდ „დაფეხმძიმდეს" თქვენ გვწერთ:

მე ძალიან მომწონს ეს ჩემი წერილი, და თქვენ კი—არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში თუ ღმერთი გაუწყრეს და უფასერო გოდორში ამოჭყოს თავი,—მაინც მაცნობეთ.

შეეასრულეთ თქვენი თხოვნა.

თქვენი მეორე წერილის მოთხოვნილება ალბად დაკმაყოფილებული იქნება მალე. გაზეთის დამტარებელს დაგვიანებისათვის „მოხვდება". გაზეთი სამი თვით ღირს 2 მან. 10 კაპ. (70 კაპ.×3=2 მან. 10 კაპ).

ლავრინსკის (ბორჯომი) ბუნნიკაშვილისათვის, რომელიც

მივიდა, იქ მიცუნცულდა
სადაც ქალი ეგულებაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მას ქალმა გაარტყა,
თვალები უბნელდებაო...

ღირსეული სასჯელი მიუკუთვნებია თვითონ დარაჯ ქალს და ჯერჯერობით ეს ვაკმაროთ.

ტურა-კუდურას (ბათომი) თანამშრომლის ვინაობა დაფარულია. (ამ შემთხვევაში,—თქვენი). თუ მართლაც და, მასე იმუქრება, გვაცნობეთ და ჩვენ სხვა ზომებს მივიღებთ. და ბრალდებულს შეუძლია ბრალმდებელი სამედიატორო, ან სახალხო სასამართლოში გამოიწვიოს საპაუხთ. (ამ შემთხვევაში თქვენ გამგიწვევს რედაქციის საშუალებით).

ვახტანგ გვასალიას (ქუთაისი). გთხოვთ დავბეჭდოთ თქვენს მიერ გამოგზავნილი ეს მასალები:

საიჯაროთ იყიდება ბავშები

3-14 წლიანები· ვაჭრობა დაიწყება ბავშთა სახლში. შეფასებული იქნებიან იმისდამიხედვით, თუ რამდენი დაუჯდა მათი შენახვა ბავშთა სახლს.

შემდეგ:

> გულდათუთქული მშობლები, ძაღლი, კატა, ვარიკა, ყვინჩილა, დედალ-მამალი, ინდაური, ბატი და იხვი აუწყებენ ყველას, რომ ტრაღიკულად გარდაიცვალა
>
> **ბოჭი ლუტურიანის-ძე ღორიძე**
>
> პანაშვიდი ყოველდღე პლეტის დუხოვკაში და დასაფლავებული იქნება დამსწრეთა მუცელ-კუჭში.

თუ არ დაიბეჭდება, ნაგვის გოდორში გადაუძახეთ-ო...

ჩვენც ვასრულებთ თქვენს თხოვნას... ბოლოს გვწერთ:

შემდეგ ამისა მრავალ მასალას მოგვაწვდით-ო.

საინტერასოა ვიცოდეთ: სანაგვე გოდრისათვის მოგვაწვდით, თუ ჟურნალში მოსათავსებლად?

იტო-ს (ოზურგეთი) რას იზამთ,—ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია... ამიტომაც არ არის გასაკვირი, თუ ოზურგეთში:

ბაზარში როცა გახვალთ
ალბად მაქსიმეს ნახავთ,
ფურნე აქვს „კაფენიად“...
მაგრამ გთხოვთ ნუ დამძრახავთ...

ორი კოწია, შალიკო,
დათიკო ჩოლაბარგია.
თეოფილე და ელუშულ
გოგიტაძეც ხომ კარგია...

ერთი სიტყვით ჩაქას თამაშობენ... და სხვა...

თუ კი მოშიდათ, აგი გმირები
მისცვივდებიან დახლზე პურებსა...
კარგი იქნება, ჩემო ტარტაროზ,
რომ აფცქვნიდე ამათს ყურებსა.

ასეთი ლექსის დაწერისათვის „ყურის აწევა“ თქვენც მოგიხდებათ... არ ვბეჭდავთ, მიუხედავათ იმისა რომ თქვენ გვემუქრებით:

ამის დამწერი მუშა ვარ
ჩვეული წითელ ხალათში
თუ არ დაბეჭდავთ,—გაგზავნეთ
სარედაქციო კალათაში.

ეს კი შევასრულეთ.

ჩაილულიძეს (ოზურგეთი, გაკირულის-ხიდი) ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ მოვათავსეთ „ტარტაროზში“ გაკირულის- ხიდის სამკითხველოს შესახებ, რომ:

აქ სამკითხველო გვქონდა
ერთ დროს განთქმული სახელით;
დღეს პოლიტგანს დაუდვია
ბოქლომი თავის ხელით.

და დღესაც სდუმს პოლიტ-განი,
ხალხიც გაჩუმებულია;
კულტურული საქმე კი
მიმქრალა-მიძინებულა.

ხომ გაგიგონიათ: „ამაოა მგოლის თავზე სახარების კითხვა“. ამ შემთხვევაში „მგელი“ ვინ არის, კი მიხვდება თვითონ. (მაშ რისი პოლიტ-განია!?).

წკვერტას. თქვენ გვწერთ:

ბებია ჩემი ავად არის და დღეს თუ ხვალ სულს დალევს, მაგრამ ასე არ უნდა მოკვდეს, რომ „სახკინმრეწვის“ ახალი სურათი: „ხანუმა“ არ ნახოს. გთხოვთ მართალი გვითხრათ: თანახმად „სახკინმრეწვის ანონსისა, მართლა ადრე იქნება ნაჩვენები ხანუმა, თუ კიდევ ბევრი დააგვიანდება? თუ ადრე იქნება, ბებია ჩემი დაიცდის, არ მოკდება; თუ არა და—რაღას იცდის, ბარემ მოითავებს სიცოცხლეს...

ბებია თქვენს ჩვენ ვურჩევთ არ დაუცადოს სურათის ჩვენებას. როგორც სახკინმრეწვს სჩვევია, ალბად „**ხანუმა**“ ნაჩვენები იქნება მეორე მოსვლის დროს,—და მაშინ ხომ ბებია თქვენიც მოვა ამ ქვეყნად,—და ბარემ მაშინ ნახოს ეს სურათი. ასე რომ, ჩვენ ვურჩევთ სიკვდილი არ გადადვას.

ოქტომბრისათვის ყველამ გამოიწერეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაზეთი

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო წიგნთსაცავი

და

ჟურ. **ტარტაროზი**

თვეში ღირს თოთხმეტი შაური

ოქტომბერი. 1926 წელი

კვირა	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

ასეთი მოვლენა იშვიათია. ისარგებლეთ შემთხვევით.

უკვე დაიწყო გაზეთზე ხელისმოწერა

პროვინციებმა და დაბებმა მიმართეთ ადგილობრივ ჩვენს განყოფილებებს და რწმუნებულებს.

საქართ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა. მთავლიტი № 606